

ივერი

ბაზუთი ღირსი:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

რედაქციის ადგილი: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზუთის დასაბარებლად
 და განცხადებებთან დასაბუღებლად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამოკრ. საზოგადოების კანცელარიის ფასი განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეორეზედ—3 კაპ.

„ივერი“ ტელეფონი № 227

„ივერი“ ტელეფონი № 227

გამოვიდა და ისეილება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

ბუნება და სსოვრება

ილ. ალ ხაზიშვილისა
 ფასი 60 კაპ.

ვინც შემოხსენებულ მაღაზიებშიდან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაცხადებას 37 კ. (20—84—13)

საკომერციო კურსები

ქალბისა და ვაჭებისათვის
 (წელი მერვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჭებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მკოდნენი. სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—99 საშრომლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კანონები, 2) საკომერციო ანგარიშები, 3) ბუკალტურა (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) ანგარიშები სახანაგაო ჩოთქათ, 5) საკომერციო მიწის მფლობელობა და სათანაო წესდებანი, 6) მსურველ წერა და წერ-გაყრული და შინაანა (исправление дурного почерка). სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემოსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე დღის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრედანოვისა, № 9, სერგაივისა და მთის ქუჩაზე, ახეთაქის შიდა-ბაზარს.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დაბარებულს ს. ზ. მანუქაიანს, ტფილისს. (24—10)

წმ. ნინოს საზოგადოების თელავის განყოფილება

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში მსურველნი მიღებულ იქნებიან 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს; 1 სექტემბერს გამოიცდებიან ისინი, რომელთაც ხელ-მოკრე ეგზამენი აქვთ დანიშნული, და 3 სექტემბრიდან დაიწყება მეცხადინება.

თხოვნასთან ერთად, რომელიც ესწავება შეიძლება გამოიკვლინოს სასწავლებლის მთავრობის სახელობაზე, უნდა წარმოადგინოს იქმნას მოწმობა და ბაღება-ნათლობისა, ევაგილის აცრისა და ჯანმრთელობისა და ზირობის ქადაგალი იმის შესახებ, რომ სწავლის ფული წინადაწინ იქმნება გარდასდილი ყოველ ნახევარ წლისა.

მსურველთ ასწავლიან სომხურს ენას და მუსიკას განსაკუთრებული საფასით, რომელიც აგრეთვე წინადაწინ უნდა იქმნეს შეტანილი.

სასწავლებლის ხანსიონისა

ცხოვრებლად მსურველმა წელიწადში 180 მან. უნდა გარდაიხადოს და ამ ფასად მოსწავლე მიღებულ იქნება სრულიან სარჯით, ნახევარ სარჯზედ მესვლის მსურველთ უნდა გარდაიხადონ 90 მან. და გარედგან მოსიარულეთ წელიწადში—30 მან. მუსიკის სწავლებისათვის—54 მან. და სომხურის ენის სწავლებისათვის იმის კვალობაზედ, რამდენი მოსწავლე ისწავლის ამ ენას და რამდენი გაკეთილი იქნება დანიშნული. კურსი პროცინაზიულია. (3—უ—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დიდობით:
 ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღამო-ტაქარო, ვენერული (სიფილისი) და საზარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩაქვანი, 9—10 საათ. სწავლებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ო. რუდეკა. 10¹/₂—11¹/₂ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფობა მსურველთ ყვავილს აუტრის.

ზ. ო. ბახანასანი. — დღის 11¹/₂—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფობა.

ო. თ. ზრატსკეაი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფობა.

ა. ზ. კანაშკეანი. 1—1¹/₂ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგა. 1¹/₂—2¹/₂ ს. შინაგანი, და საზარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:
 გ. მ. მახვილაძე. — 5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობა.

ბ. ა. ნავასარდიანი. — 6¹/₂—7 საათ.

ა. ნ. შხაკაყია. — 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებას.

ტ. ო. რუდეკა — სამკურნალოში გამოიკვლევს კიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შური; დარიგებისა უფასოდ; ფასი კონსულიუმისა და რეპრაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო-დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница Д-ра Навасардиана. Тифлиси, противъ памяти. Воронцову. (7)

პპისრულოზ

ბაქსანიის და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა, გლანდის აღმას და ნიშლი-რომპის, ალექსანდრე ბრიგორის ძე სანაქოვი. დაბორცობისა ქუჩა, სახლი № 26. ტელეფონი № 567. (50—80—48).

ახალი ამბავი

ამ თვედ ტფილისში მოვიდა ხელ საქმის გამგეობის საქმის-მწარმოებელს ბ-ნს ნ. ვ. პონომარევი. კავკასიის სიმეგრატორო სამეურნეო საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ბ-ნ პონომარევის ჩამოსვლით დაჩქარდება ამ საზოგადოების თხოვნის შესრულება, რომლითაც მან 1896 წელს მიმართა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს და სთხოვა, ტფილისში ახალი ქსოვნა-ქარვის შესასწავლე-

ლი სკოლა და სახელოსნო დაგვიარსეთა.

* როგორც მითხველებმა უწყიათ, ამას წინად ხმა გავრცელდა ტფილისში, რომ უკვლოდ დაკარგული თავ. ი. გ. მაჩაბელი მცხეთაში უნახავთო. დღეს ეს ამბავიც ტყუილი გამოდგა, მცხეთის ბოქაულმა აცნობა ტფილისის პოლიციის-ტერს, რომ, როგორც გამოვიკვლიე და გამოვიძიე, თავ. მაჩაბელი მას აქეთ, რ. ც დაიკარგა, მცხეთაში სრულიად არა ყოფილაო. ეხლა პოლიციის-ტერის განკარგულებით შესდგა მოსურავთა მთელი დასი, რომელმაც უნდა ეძებოს თავ. მაჩაბლის გვაში მტკვარში. ეს დასი გუშინ, 15 ივლისს, ნავებისა, კეტებისა და სხ შემწეობით უკვე შეუდგა საქმეს. რადგანაც დღემდის მაჩაბელი ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ვერ იპოვნეს, ჰტიქობენ, რომ თავი დაირჩო და იმისი გვაშიწყალში ან ქვას, ან სხვა რასმეს ექნება წამოდებულიო.

* 14 ივლისს ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის პურის მცობლების თხოვნა იმის შესახებ, რომ იჯარით მიეცეთ ქალაქის განაპირას თავისუფალი ადგილი ფურნების გასამართავად და შეშის საწყობებად და რომ ქალაქმა ასესხოს საჭირო ფული თავისის მზრით. მეფურნეები ჰპირდებიან გამართონ იმ ადგილას, სადაც გამგეობა მოისურვებს, ფარდულები პურის სასყიდლად და გაჰყიდონ პური 20% იაფად, ვიდრე რუსეთის ქალაქებში იყიდება. ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა ეს თხოვნა, დაადგინა: რადგანაც ახლო მომავალში უნდა წარედგინოს საბჭოს მოხსენება ქალაქის ფურნების გამართვის შესახებ, ამიტომ უარ ყოფილ იქმნეს პურის-მცობლების თხოვნაო.

* ტფილისის პოლიციამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ იგი შეუდგეს კოჯორის აღმართის შეკეთება დასუფთავებას, რადგანაც ეხლა, ეტლების ხშირის მოძრაობის დროს, ეს აღმართი მეტად ცუდ მდგომარეობაშია.

* გუშინ, 15 ივლისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ დახოცილ იქმნას უბატონო ძაღლები. ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამ ძაღლების დაჭერა და ქალაქ გარედ დახოცვა იჯარადარს გადასცეს. გარდა ამისა, ქალაქის გამგეობამ დაავალა თავისს წევრს თ. ა. მ. არლუთინსკი-ლოდგორუკის შეადგინოს პროექტი ძაღლებზედ ბუის დადებისა.

შემდეგ განხილულ იქნა მოხსენება გამგეობის წევრის თ. ა. მ. არლუთინსკი-ლოდგორუკისა ნაძალადევის უბანთან ადგილების იჯარით გაცემის შესახებ. გამგეობამ გადაწყვიტა, იჯარით გაეცეს ეს ადგილები

ბი მსურველთ და საყენზედ 10 კაპ. იჯარა დააწესოს.

* გუშინ წინ ქალაქის გამგეობის წევრის თავ. არლუთინსკი-ლოდგორუკის მეთაურობით განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა სხვა-და-სხვა შენობა შემოღობის დანაარსებლად განზრახულ თავ-შესაფარის მოსათავსებლად. სხვათა შორის ოქროყანისა და კრწანისის მცხოვრებელთაც სთხოვეს კომისიას, დაკლებულის ფასით ჩვენ დაგიტომობთ მიწასა და შენობას თავ-შესაფართათვისაო.

* ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის გამგეობამ შესაძლებლად სცნო ბანკის უფროსს ბუშალტერის თანამდებობის აღმასრულებელს ვ. ა. სულხანიშვილს 3,000 მან. ჯამაგირის მაგიერ წელიწადში 2,000 მ. აძლიოს.

* შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების უფროსთ, რომ 15 აგვისტოსათვის გამოგვეგზავნეთ ცნობები იმის შესახებ, თუ ადგილობრივ როგორა ჰფასობს მსხვილ-ფეხი და წვრილ-ფეხი საქონელიო. სამინისტროს ეს ცნობები მოუთხოვნია იმის გამო, რომ სამინისტროში ლაპარაკი აღიძრა 1% გარდასახადი დაედოს სამრეწველო საქონელს კავკასიაშიო.

* სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების განკარგულების-მებრ შეკრულ იქმნა ორჯონიკიძის ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონება იმის გამო, რომ მას ფოსტატელეგრაფის კანტორიდან 50,000 მან. მოპარვა ჰპარალებო.

* ტფილისში ამ ბოლოს დროს ისეთი საშინელი სიციხეები დიდგა, რომ რამდენიმე კაცს მხეჷ თავში დაჭრა და ავად გახდა. ასეთი შემთხვევა 13-სა და 14 ივლისს ორი იყო.

* ქალაქის მეთე ნაწილში, რკინის გზის ლიანდაგის მეორე მხარეს გაყვანილის ახლის ქუჩის სახლის-პატრონთ ამ დღეებში მიმართეს კავკასიის მთავარ-მართებელს და სთხოვეს განკარგულება მოახდინეთ, რომ ამ ლიანდაგზედ გადასასვლელი გზა ან ხილი იქმნას გაკეთებულიო.

* ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა თხოვნა მიხეილ მეფისოვისა, რომელსაც ჰპარალებდა თავისის ძმის ივანეს მოკვლა. მეფისოვმა წარუდგინა სასამართლოს, თავმდების მაგიერ, 5000 მანათი და სასამართლომ საპატიმროდგან განათავისუფლა საქმის განხილვამდე.

* ხაზინის მიერ საბატანიკო ბაღის გასაფართოებლად და გასაღიღებლად შექმნილ მიწის ნაწილში ამ თვედ გაჰყავთ გზა-ტყეცილები. ამას-



თან უკვე შეუდგენენ მდ. დაბახანა- ზედ ხიდის გაკეთებას. როდესაც ამ ხიდს გააკეთებენ, მაშინ კოჯორის გზიდან საბოტანიკო ბაღში ეტლით შეიძლება მისვლა. აზრად აქვთ ქალაქიდან ბაღამდის ეტლის ნიხრად 50 კაბ. დაწესონ.

* ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმძებელმა ვადასცა ოლქის სასამართლოს განსახილველად საქმე გორის მოქალაქის გიორგი ამირალოვისა, რომელსაც ჰპრალდება, რომ ამ წლის 1 ივნისს რკინის გზის გორის სადგურის დარბაზში შეურაცხყოფა მიუყენა გორის მაზრის უფროსს დრაჩევს.

* ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში მიიღო განსახილველად საქმე გზ. „ახალი მიმოხილვის“ რედაქტორის თავ. გიორგი მიხეილის ძის თუშანოვისა, რომელსაც ის ბრალად ედ ბა, რომ ბეჭდვითი ოტყვის შემწვობით შეურაცხება მიუყენებია რაქის მაზრის ტყის უფროსის ლენინვიცისათვის.

* გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი გვეჩვენა გამოძიებლის დანილოვის მიერ მიღებული დეპეშის შინაარსი თავ. შალიკაშვილის მიერ სკრის სადგურის ქანდარმის დაქრის შესახებ. დეპეშაში ნათქვამი იყო რომ თავადი შალიკაშვილი და ერთი ვილაც უცნობი თავს დაეცა სადგურსკრას და ქანდარმი დასჭრა. ესა ამის შესახებ გზ. „ახ. მიმ.“ სწერენ: „ადგილობრივ მამულეს თავ. გ. შალიკაშვილსა და სკრის სადგურის უფროსს რადაცის გამო ლაპარაკი მოუვიდათ, საქმეში ქანდაში ჩაერთა და თავ. შალიკაშვილი სადგურიდან გაიყვანა. რამდენისამე ხნის შემდეგ თავ. შალიკაშვილი სოფ. რუისის მცხოვრებელი ი. მამაკაშვილთან ერთად ხელახლად გაჩნდა სადგურზე და ქანდარმს იაკ. ხოვ-

სუნს ჩხუბი დაუწყა, რომლის დროსაც ხანჯლით თავსა, ზურგსა და მარცხენა ხელში დასჭრა. დამნაშავენი დაპატიმრეს.“

* ამ დღეებში კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბნი ვ. ნ. გვესკი, გზ. „კავკასის“ სიტყვით, კახეთში აპირებს წასვლას საფლოქსერო დასებისა და ინსტრუქტორების ნამუშაურის განსახილველად. შემდეგ იმავე აზრით ბნი გვესკი ამიერ კავკასიის სხვა ადგილებშიაც წავა.

* გზ. „ახ. მიმ.“ სწერენ რაქის მაზრიდან, რომ აზრად აქვთ ამბროლაურის სასოფლო ქსენონი სასოფლო სამკურნალოდ გადააკეთონ. ამ სამკურნალოში 12 ავადმყოფის დასაწოლი ადგილი იქნება. გარდა ამისა, აზრად აქვთ დაასრონ ერთი ასეთივე სამკურნალო დაბაონში, ხოლო ორი სასოფლო ქსენონი უწყრასა და გლოლაში.

* გზ. „ტფ. ფურ.“ სწერს, რომ შორაპნის მაზრის დ. სახერგეს მახლობლად მდებარე საწერეთლო ტყის პატრონთ ამ ტყიდან ხე-ტყის გამოზიდვა 25 წლის ვადით გადასცეს რუსეთის კაპიტალისტს პოზნევესაო.

* გზ. „Рус. II.“ სწერს, რომ დეკანოზს მ. იოანე სერგიევს (კრონშტადტელს) განზრახვა აქვს ჩრდილოეთ გუბერნიებში მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე წავიდეს კავკასიაში და საქართველო—მოიაროს.

* გზ. „Кавказ“ სწერს, საქართველოს სხვა დასხვა სოფლებში მცხოვრებ დუხ ბორებს ნება რთვა მოუვიდათ საზღვარგარედ გადასახლებისა, დუხბორებმა ორი კაცი გაჭაუნეს ინგლისში, ივანე ივანი და მახორკინი. ამბობენ, რომ ინგლისის მთავრობას ნება მიუცია დუხბო-

ბორებისათვის კიპრის კუნძულზე დასახლებისა.

* დ. სანტრედა. კვირას, 12 ივლისს, აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ გამართული იყო ქართული დარუსული წარმოდგენა. წარმოდგენას კარგა ძალი ხალხი დაესწრო. ქართულად წარმოადგინეს „ჯერ დიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. სცენის მოყვარენი სცდილიყვნენ, რამდენადაც უჭირდებოდა, და პირნათლად შეასრულეს თავ-თავის როლები. ბოლოს გაიმართა საცეკვაო საღამო. წმინდა შემოსავალი იყო 65 მან. დიდის მადლობის ღირსნი არიან ისინი, ვინც წარმოდგენა გამართა ამ ჩვენს მიყრუებულს დაბაში.

წერილი ჯავახეთიდან

ბევრს ჯავახს დღემდე მაინც არ უღიზიანებდა ცხოვრების ბედი და ახლა, ამ უამინდო და უტაროსო ჯავახულის შემდეგ, რომელიც შუა ზამთარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჯავახულის, ხომ უარესად საქმე გაუჭირა: ბევრს აკლია საქონლისათვის თივა-ბზე და თავისთვის—პური და საწვავი; სესხად ყველა ამას ფუხარა ხალხი ვერსად შოულობს, ყიდვითაც ვერ უყიდნია უფულობის გამო... ამნაირ ფუხარებს, ცხადია, ბავაზედ პირუტყვი საცოდავად უღმუოდდა უსაქმობით და ეხლაც სახლში წერილ-შვილი უტირის უპურობით.

პურის უქონლობას ჩვენში ყველა სოფელი არ იტყვის. ის ქართველი სოფლები, რომლებიც მდებარეობს ჯავახეთის აღმოსავლეთის მადლის მთების კალთების დახლოვებით, კარგა ხანია მოკლებულია რიგინს მოსავალს, ხოლო იმ სოფლებს, რომლებიც მდებარეობს ამ მთებზე და შორებით, დასავლეთს, უფრო თბილს მხარეს, ყოველს წელს კარგი და

უხვი პურის მოსავალი მოსდით. ამიტომაც არის, რომ პირველ სოფლებში მცხოვრებლები ითმენენ უპურობას და სიღარიბეს, ხოლო მეორე სოფლების მცხოვრებლებს შორის პურის უქონელი და სიღარიბით დაჩაგრული ძალიან ცოტაა. პირველ სოფლების მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა იქადას და რიბია და უპურო, რომ ერთმანეთში სესხით, ან ყიდვით იოლად ვერ გამოდიან, — მთელის ზამთრის განმავლობაში გაყიდულის შემის ფასით ყიდულობენ ბავაზედან ფევილს, ან გამოცხვარს პურს, და ისე ტანჯვით გამოდიან იოლად პურის გლეწვადლის. საშაგეროდ, მეორე, მოსავლიანის სოფლების მცხოვრებლები კი ყოველთვის ჰყდიან მოჭარბებულს ჰირნახულს და ამითი იძენენ არა მცირე დოვლათს. ამიტომ ბევრი ამ სოფლების მცხოვრებლები ფულის პატრონებადაც ითვლებიან. აქ, ამ სოფლებში, არიან ისეთი ქართველი გლეხები, რომელთაც ჰირნახულის წყალობით 5—10—20 ათას მანათამდის ხელი მიუწვდებოთ ნაღდად; მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ შეძლებულებს, როგორც გონებით ვანუვითარებლებსა და შეუფლებებს, რაიმე საქველ-მოქმედო საქმისათვის კაცი ერთს გროშს ვერ გამოაღებინებს და თავიანთ თავისთვისაც ხომ მეტად ცოტას ხარჯავენ, ძალიან ბინძურად სცხოვრობენ...

ამას წინადა ჩემს წერილში („ივერია“ № 68) მოვიხსენიე, რომ ქართველ სოფ. ბარაღეთისა, კოთელიისა, ჰხარულისა და ბალანთისათვის არსებობს ერთად-ერთი სამინისტროს კლასიანი სკოლა სოფ. ბარაღეთში-მეთქი. ეხლა ის უნდა მოვიხსენიო, რომ დანარჩენ ქართველ სოფლებისათვის, სახელდობრ პტენისა, ჩუნჩისა, ქილდისა, გოგაშენისა, აფნიისა, საროსა, ხიზაბავრისა და თოკვარენისათვის, — ოთხი: სამი სამინისტროსი და ერთიც „მართლ-მადიდებ-

ბელ ქრისტიანობის სკოლა“ ერთი სამინისტროსკოლა არსებობს სოფ. ქილდაში, რომელზედაც მიწერილია სოფლები: პტენა, გოგაშენი და აფნია, მეორე ასეთივე სკოლა დაარსებულია თათრების დაბა ხერთვისში და ზედ მიწერილი არიან სოფ. საროში მცხოვრებლები, ხოლო მესამე სკოლა არსებობს სოფ. ხიზაბავრაში, რომელზედაც მიწერილი არიან თოკვარგავ-ვარგვენში მცხოვრებლები; „მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლა არსებობს სოფ. ჩუნჩაში 1891 წლიდან მხოლოდ ჩუნჩხელებისთვის. სოფლები აფნია, გოგაშენი და პტენა თავიანთ ქილდის სკოლაზედ მეტად დაშორებულები არიან და ამიტომ იქ ბავშვების გაზავანს ვერ ახერხებენ; თუმცა ესენი ყოველს ხარჯს იხდიან ამ სკოლისთვის, მაგრამ იქ ერთი ბავშვიც არა სწავლობს ამ სოფლებიდან, ასე რომ სახელი ამ სკოლისა თუმცა „თავითა“, მაგრამ სახარახ-საწყნისკოლა, ქილდას ეკუთვნის... ამ სოფლებიდან ერთი სოფელი—სახელდობრ პტენა—ძალიან დაახლოვებით არის სოფ. ჩუნჩისა „მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლისთან, მაგრამ აქ იმასთა ბავშვებს არ იღებენ, ს. ჩუნჩაში მცხოვრებლები ნებას არ აძლევენ—„ჩვენი გაკეთებული არის სკოლის შენობა“!!... კარგი იქნებოდა, ხალხის კეთილ-დღეობისათვის ამ სოფელ პტენას ჩუნჩის სკოლას მიასწერდნენ, რითიც ღარიბ პტენელებს დიდს სიკეთეს დასდებდნენ. წელს განიზრახეს სოფ. ქილდის სკოლის დაძველებული შენობა დაანგრეონ და მის ნაცვლად უფრო უკეთესი შენობა ააგონ, მაგრამ, სამწუხაროდ, სოფ. აფნიელებმა და გოგაშენელებმა ამის უარი განაცხადეს: „ჩვენ მონაწილეობას არ ეივდებთ სკოლის ახალის შენობის აგებაში, რადგან

ფელეტონი

„ღმერთმა მისცეს მავანი“... (მოთხრობა)

თებერლის ბოლო რიცხვებია. გათენება, მაგრამ ცა ისე შავბენლად ჩამოკლებულია და თოვლის ფერების მფრქვევ ნისლ-ბურუსში გაუხვევია ქ—ის არე მარე, რომ აღამიანს თვალში თითი მიავებონ, რიგინად ვერას გააჩრეფს. კაცი ვერა ჰბედავს ამისთანა ამინდში გარეთ გამოსვლას. მხოლოდ პატარა ლობემძვარა ბედურა-ჩრტუნები გამოფთხარალებულან საკუქნაო, საფარ ადგილებიდან და ღამის სიცოცხე-ყიამათისაგან გათოშილ, დამძრალ ასო-ტან-სახსრებს ამოძრავამოქმედებენ გასათობად და ქუქუქით ერთურთს ელერს-გხუტებიან აჭრამებულ-ახმაურებულნი.

თუმცა გლახასა და იმის ცოლ-შვილსაც კარგა ხანია გამოეღვიძათ, სიცივისაგან ძილი გაუფრთხათ, მაგრამ ადგომას ლოგინში წოლას ამჯობინებენ. სიცივე, ქარ-ნამქერი თავისას არ იშლის, მალღა ჩამონგრეული, ჩამოშლილ საბურავიდან თავ პირის მტვრევითა და გრილით შემოქმუის და ისეც ნესტიან, დარღინა სახლს ჰყინავს, აციებს. მეო-

ნია ეს მეთავერ წაჭკრა პარასკომ მუჯღუგუნე გლახას: — ადექ, ადამიანო, როდემდის უნდა იკრუნჩხო და იკოტრილო ელოგინში. საღამომდის ლოგინში ხომ არ უნდა ვეყარნეთ მქადი კუტებივით, წადი ორიოდე კუნძი მაინც მოგლიჯე სადმე, ცეცხლი შევბეჭუნტოთ, ყმაწვილები სიცივისაგან არ ამოგვებრაპტენენ. ადექ, ადექ, რას იზლაზნებ... — რას ამბობ, დედაკაცო, შეოჯახ ამოსაწყვეტო, ამისთანა ამინდში ძალიც არ გაივდება გარეთ, ქროტიანი კაცი საით წავეთრო— შენ ღმერთი არა გაქვს და გამჩენი... მაგრამ პარასკომ არ მოუსვენა ქმარს, იმდენი უჩუჩუნუნა, საბრალო გლახა ლოგინიდან წამოაგდო, გლახაც, მეტი რა ჩარა ჰქონდა, გულბრაზიანი, მთქნარებითა და მხრების შემუშვნით, დაგლეჯილ წინდა-ქალმების ჩაცმას შეუფა. რის ვაი ვაგლახით დაამთავრა ეს სასახური გლახამ, ძლის-ძლივობითა და ათასგვარის ღანძლე-გინებით, როგორც იყო დაიმორჩილა ურჩი, სიცივისაგან გაკორავებული ქალები, ახლა-კი საქაროდ გადაიკვა მხრებზედ გახუნებულ-გაცრეცილი შინლის ფარაჯა, მაგრამ გულში-კი ისევ თავის გაჩენის დღეს წყევლა-კრულვით იხსენებდა. „თუ კი

ასეთ უბედურ ვარსკვლავზე გაჩნდებოდი, ისევ მერჩივნა დიდჩემს მუცელშივე გავწყალებოდი“, ჰფიქრობდა მწარე-ნაღვლიანად გლახა თავისთვის; ბოლოს თავისი გულდამწვევი ფიქრები ამით დაათავა გუნებაში: „საწყალი კაცი რა გასაჩენი იყო“ და ფეხ მარად წერაქვსა და აბურის ნაგლეჯს წამოავლო ხელი, რომლებიც იქვე სახლის კუნძულში ელაგა.

ამ დროს გარედან ვილაცას ძახილის ხმა შემოესმა გლახას. „ვინ არის კაცო, რას იძახი“, გაეხმაურა გლახა. „აბა, აი, უწყება დამიქა, მარტის X-ში „სულში“ გიბარებენ, შენი ძმა მიხრინვე გიჩივის“, ამ სიტყვებით გზირმა უწყება მიაჩნა გლახას ხელში. უწყებისა და თავისის ძმის სახელის გაგონებამ გლახას პირში ნერწყვი გაუშრო, გოლი აუფანცქალა; მთელს ასო-ტანში, თავიდან ფეხთამდე ცივ ოფლის დამსხმელმა ერთუბანად დაუბრინა, როდესაც ერთ-წამს, თვალ-წინ, თავის ძმას თან იმ დღინდელ ჩხუბის მოგონებამ გაუბრინა. გლახა ყოველთვის ერიდებოდა სასამართლოებში თრევა-და ვილარაბას, მოწმედაც-კი თითქმის არასოდეს არა ყოფილა, დახეთ ეხლა, რა კანათში მოწყვედევას, მახეში გაბას, ხრინკის გამოღებას მიპირობს ჩემი მიხრინვე ძმა, ჰფიქრო-

ქიანქველა - ნაქამ დათვივით, გააფურადა, სიბრაზისაგან პირიდან დორბლებსა ჰყრიდა და როგორც უნდოდა ყანყარტოში მცემოდა, ღვთის მადლით, იქვე ჩემს გვერდით კმტო ვეღო, უცბად დავტაცე ხელი, ვაბრებდი გოგრაში შედრუნხა... მაგრამ ღმერთმა უშველოთ, დროზე მუშები მოგვცვივდნენ და გავაშველეს. საქმე ესე იყო და საცა სამართალია, ის არის გასამტყუნარი, რომ ჩემს ალალს მამულს მართმეფს, პირიდან ლუქმას მაღლის, მაკრამ ეხლანდელ დროში კაცი სად იპოვნის სამართალს... მერე მოწყმების ძებნა გაუძნელდება-რა ჩემს იულა ძმას... ოღონდ ორიოდე ჰტაქანი პილატეს ცრემლი ჩაყუპავს და რაც უნდა არაშეინოს... ნამუსი უზამთ ძალასა, თუ ადამიანობა... — ასე დამარბული და გულ გატეხილი შეტრილდა სახლშივე გლახა და ისევ ლოგინში მყოლარე პარასკოს ვადსა უწყების ამბავი. პარასკოს შიმშილუბარებისაგან ათათხანა, ელდა ნაკრავივით წამოიჭრა ლოგინიდან და, რომ ვეღარ შეიმგრა ეულზედ მოწოლილი ბოღმა-ნადველი, ცრემლები მოერია თვალებში, ტირილი მორთო ხვა მადლა:

— თუ, რატო ენა არ გამიხმა, რომ იმ დღეს იქ წასვლა გიჩივე, მამულსაც ჯანი გავარდნოდა და დელუ-

მატიმრებული, ამ პატივით განთავსებული და შემდეგ ესპანეთის სახმარებისათვის წავა.

გენერალი მალსა 8 ივლისს სანტიაგო-დე-კუბაში წავიდა. თან გენერალმა რამდენიმე სამხედრო გემიც წაიყვანა. ამ დღეებში, გასული წლის სიტყვით, ჯარსაც გატყვევების გუნდის ასევე. ჯარჯარობით 25,000 კაცს გენერალის ბრუნის უფროსობით გატყვევების და თუ საჭირო იქნება, რამდენიმე თასს კაცს შემდეგ მიაშველებენ. პორტო-რიკოშივე წავა სამოსლის გაყვანას.

ფილიპინის კუნძულების დედაქალაქი მანილა ჯერ ისევ ესპანელების ხელშია. ამას წინა დემოკრატიის წინა მძლავრმა აკვირდნენ გენერალ-გუბერნატორ აუგუსტინს კარტომა გაუტყვევება და შეუთავადა დემოკრატიული და ქალაქი გადამეცა, თორემ ძალისხმევით. აუგუსტინს გამოუჩინა გატყვევების გეგმა, რომ უგანსკენ სისხლის წვეთმდის ვებრძოლებს და ქალაქს ვაზრდობა მოეპოვებოდა. ამ უმად აკვირდნენ მანილას გარემოში 50,000 მეომარს ჯარს. როგორც იქამდე იყვნენ ბანკის მხარეზე მუშა შემოქმედებით. ჯარი ესაღმარადა ხორციელდა იკვებება თურმე.

ზავის შესახებ ჯარჯარობით არაფერი არ იმის, თუმცა ზოგიერთი გასული გათვალისწინებით, რომ ესპანეთის მინისტრ-პრეზიდენტი სეგასტა უკვე შეუდგა მოლაპარაკებას. ამ ამბავს, გასული წლის სიტყვით, მთავრობა განტყვევების მიზანს დასდევს, რომ ესპანეთის მთავრობამ ზავის მოსთხოვა ამერიკის და რომელიმე გუნდული დაუთმო მას, ამბობს მთავრობის.

საზრუნველობით. მკითხველებს უთუოდ ესმოდათ დეპუტატები, რომ კიდე ზოგადი პარტიული საიდუმლოდ გამოხატეს და სადღაც წავიდა. დღესაც არ იციან ნამდვილად სად არის გამოჩენილი მწიკდი. ამ ამბავს მთავრობა დიდად აღზარდა და მთავრობის გამოიწვია. ზოგადი სწორედ მეორე დღეს წავიდა პარტიული, რომელიც კარსაღის სასამართლოდ იმის საქმე განხილავს. სასამართლოდ ჯარის და დაპატიმრება მიუსჯის ზოგადს. და, ამიტომ ამინისტრის მოწინააღმდეგე გახუტებულა ერთხმად განხილავს, რომ ზოგადს დაპატიმრების შექმნა და პარტიული განხილავს. ნამდვილი მიზანობა ზოგადს პარტიული განხილავს. როგორც გახ. "HOB" იუწყება, სულ სხვა ყოფილა. სოფრანგეთის განხილვის ძალით, სწორს ხსენებული გასული, ის განხილვის, რომელიც ბრძოლებს დაუსწრებლად იქმნება დადგინდა, ძალში შედის სუთის დღის შემდეგ იმ დღეებში, როგორც ამ განხილვის შინაგან თვით ბრძოლებს შეატყობინებენ, რასაკვირველია, თუ ამ უგანსკენ სისხლის უმადღეს სასამართლოში არ გადატანას იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლებს სხვა განხილვის, მაშინ 5 დღის იმდენი დღე იქმნება, რამდენიც კილომეტრითა და მოსრულებულია ის ადგილი, სადაც ბრძოლებს აღმოჩნდება იმ ადგილიდან სადაც სასამართლო იმყოფება. ასე რომ ბრძოლებს რაც უფრო დიდის მანძილით იქმნება და მოსრულებულია სასამართლოდ, მით უფრო მეტი დრო

ქვეყნის განხილვის სასამართლოში. ზოგადს იმ განხილვის ისარგებლა და ზოგადს წავიდა პარტიული, რომ განხილვის სასამართლოში მოეყვანა რამდენიმე თვით გადადგოს. ზოგადს აზრით შემდეგ საქმის ვითარება შეიცვლება და ახალი სასამართლო, სადაც ზოგადს ხიჯას გადატანას, ნებას მისცემს თავისი გამართლებული სახეობა წარუდგინოს.

დაპატიმრები

არა ჰმარტან ღობი კარსა.

ვახტანგ გორგასალ.

შენ მკურ აღვკებულა ცეცხლი შენკე დაშობი.

პეტრე კათალიკოზი

რომელი შენ არა ჰყოფ, სხვას ნუ აწიკვ, რამეთუ დადრობა არა კელი არს ცაცთა პატიოსანს.

ვახტანგ გორგასალ.

მშრნალ-გაზიფიცილიზაცია

(ამოკრებილი ამბები)

სავის თეატრში, ლონდონში ესლახან ითამაშეს სულ ახალი ოპერა პინეროსი სახელად „სილამაზის თილისმა“. ოპერის შინაარსს წარმოადგენს თილისმა, რომელიც სილამაზის მიანიჭებს ყველას, ვისაც-ც ის ექმნება, ხოლო თილისმის პატრონი ბედნიერებას ვერ ეღობება. ამ გვარად თილისმა ყოველთვის ხელში ჩაუვარდება ხოლმე ვინმეს, რომელიც ნამდვილი პატრონია ამ თილისმისა. თილისმა ჯერა ჰქონდა ლენას, მირლემანტის ერთი კოპიის მუშის ქალს. მერე თილისმა ხელში ჩაუვარდება უორე ქალს სეიდას, მაგრამ ვერც იმას გააბედნიერებს. სეიდას შეუყვარდება ლორდი ფილიპე მირლემანტი და ეს კაცი უსინათლო და რუნდება თავის ქვეყანაში. ლონდონის გახუტები ამტკიცებენ, რომ ახალი პიესა ძლიერ მოეწონა ხალხსა.

საბავშვო პიესა ისეთი, რომ ბავშვებს მისწონდნენ, ძლიერ ცოტა არის, მაგრამ ასეთი კარგი პიესა-კი კიდევ უფრო ცოტაა. ხალხი მწერალს ვას ლემერს და ი. შერმანს ვადუკეთობიათ სცენისათვის ბერნეტის ცნობილი მოთხრობა „პატარა ლორდი“. ეს მშვენიერი მოთხრობა ყველა ენაზედ არის ნათარგმნი და სხვათა შორის ქართულადაც არის თარგმნილი. ეს ისეთი კარგი მოთხრობაა, რომ არა თუ ბავშვები, მოზრდილებიც დიდს სიამოვნებით ჰკითხულობენ და ეჭვი არ არის, რომ პიესად გადაკეთებულიც კარგი და საყურადღებო იქმნება.

ბერის თქმულა და დაწერილა იმის შესახებ, რამდენად სანდო არის ჩვენება მკირე-ფლოვან მოწმეებისა. ზოგი ამტკიცებს, რომ ბავშვი ტყუილს არ იტყვის, მაგად ხშირად მომხდარა, რომ ბავშვს სასამართლოს წინაშე ტყუილი ჩვენება მიუტყა ან განგებ და ან შეცდომით. ერთს სოფელში ერთხელ ზედი-ზედ ორს სახლს ვილაკამ ცეცხლი წაუკადა და გადასწვა. გუმანი მიიტანეს ერთს მჭედლის ქვირთვით ერთმა პატარა ქალმა სთქვა, რომ მე ჩემს თვლით ვნახე, როდესაც ეს ქვირთვი ცეცხლს უკიდებდა სახლსა, ამ ნიშნითაო, დასძინა ქალმა, რომ ქვირთვს წითელი წამოსახამი ესხა. ქვირთვი უარზე იდგა, მაგრამ მაინც რამდენიმე თვით საპატიმროში ჩასვეს და მზალოდ შემთხვევით აღმოჩნდა, რომ არაფერი იყო დამნაშავე, რადგანაც ვაიკეს, რომ სახლებს ცეცხლი ერთმა მათხოვარა დედაკამა წაუკადა და იმასაც წითელი წამოსახამი ესხა. ხოლო რაც შეეხება ქვირთვს, აღმოჩნდა, რომ წითელი წამოსახამი იმას ერთმა ქვირთვმა ახუტა სახლების დაწვის შემდეგ დღეს. მათხოვარა დედაკაცი გამოტყდა თავის დანაშაულში და ქვირთვი განათავისუფლეს. ისიც მომხდარა, რომ ბავშვებს განგებ

ტყუილი ჩვენება მიუტყა სასამართლოში. ერთხელ ერთმა ვაჭარმა თავისი 12 წლის შვილი გაგზავნა მახლობელ სოფელში და 60 მანათი გაატანა ნაცნობთან ვადასაცემად. ერთის საათის შემდეგ ყმაწვილი უკან დაბრუნდა ძლიერ ნაკიმი, თავი-პირ დასისხლიანებული, ტანისამაშ შემოვლელი და სთქვა, ერთი კაცი დამიხვდა გზაში, მცემა და ფული წამართვა. პოლიციამ დაიწყო ძებნა დამნაშავისა და შეიპყრო ერთი ყასაბი, რომელიც სწორედ იმ დროს ყოფილა გზაში, რა დროსაც ყმაწვილი მიიღოდა სოფელში. ყმაწვილმა ხელი დაადო ყასაბს, მაგრამ მცემა და ფული წამართვა. ყასაბი ფიცხლობდა, დამნაშავე არა ვარო, მაგრამ არაფერს დაუჯერა და ციხეში ჩასვეს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ არც ყასაბი ყოფილა დამნაშავე და არც სხვა ვინმე. ყმაწვილს შევხვედრია გზაში ვილაკ ახალგაზდა მთვრალი კაცი, რალაქზედ ჩხუბი მოსვლიათ და ახალგაზდა კაცს უცემნია ყმაწვილისათვის.

ნაცემს ყმაწვილს უფიქრია, რაკი ესე მოხდა, შეიძლება ეს ფუი შევიწარხოლო, ჩაუფლავს მიწაში, მოვარდნილა სახლში ღრილით და უთქვამს—ვილაკამ ფული წამართვა. ხოლო შემდეგ, რომ თავისი სიტყვა გაეყვანა—ყასაბს დაადო ხელი. ეს ორი მაგალითიც საკმარისია, ამბობენ ზოგნი, რომ ყმაწვილის ჩვენება სასამართლოს წინაშე შეწყნარებული არ უნდა იყოს ხოლმე.

დეკემბერი

(რუსეთის დეკემბრის სააგენტოსაგან). 15 ივლისი

პეტერბურში. 14 ივლისს, საღამოს 6 საათზედ, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა აღექანდრა თევდორეს ასული ელლინთა დედოფლითურთ მობრძანდნენ პეტერბურგიდან კრასნოე სელოში.

ბრანიცა. 14 ივლისს, დღის 8 საათზედ, გრანიცის სადგურზედ მოვიდა რუმინის მეფე მემკვიდრე პრინციტურთ. რკინის გზის სადგურზედ საპატიო დარაჯი იყო გამოწყობილი მეშვიდე მსროლელთა რაზმისაგან. მეფეს დახვდნენ: რუმინის ელიჩ როსეტტი-სოლესკო, მუქარესტის სამხედრო აგენტი პოლკოვნიკი ბარონი ტაუბე, კამერერი ოზეროვი და სხვანი. 40 წუთის შემდეგ მეფე გამეზავრა ვარშავასკენ.

პარშა. 14 ივლისს ვენის რკინის გზის სადგურზედ, რომელიც მშენიერად იყო მორთული ცხელის ქვეყნების მცენარეებით, ხალხითა და ბაირალებით მოვიდნენ ადრევე უგანათლებულესი თავადი იმერტინსკი, გენერალ-ადიუტანტი არსენიევი და პუზირესკი, შტაბის უფროსი. მეფის მატარებელი მოვიდა დღის 2 საათსა და 53 წუთს. რკინის გზის სადგურიდან მეფე და მემკვიდრე პრინცი ლაზენკოვის სასახლეში წავიდნენ. პეტერბურგს ოთხშაბათს წავლენ, დილით.

პარიში. კაპატივდგან იუწყებინან, რომ კიმიმერის და გვენტანამოს მეციხოვნე ჯარი მტერს დაპყრობილდა.

პარიში. ლაბორიმ გარდასცა სასამართლოს გამოძიებელს ბერტიულიუსს პიკარის საჩივარი, რომლითაც პიკარი მიიჩნის დიუ-პატი-დე-კლამას სიყალბის ჩადენის ანუ სიყალბეში მონაწილეობის მიღების ბრალსა სდებს.

განცხადებანი

სწილისის ქალაქის გემში ამითი აცხადებს, რომ მისს სადგომში 15 ივლისს, ნაშუადღევს 1 საათზედ, ვაჭრობა იმდენად ვაჭართული, რომ ხომ არაფერს იკისრებს ტფილისის ცხენის რკინის გზის ორგოც და ათის ვაჭონისათვის საჭირო ცხენების მოკვებას. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიან პირობების შეტყობა ქალაქის გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებაში. (3-6-2)

Покупайте только ЦВЕТЧНЫЙ О-ДЕ-КОЛОНЬ, ИЗОБРЕТЕННЫЙ Товариществом Брокеръ и Ко. ЭТОТ О-ДЕ-КОЛОНЬ употребляется какъ ЛУЖИ, туалетная вода и курения. Остерегайтесь подделок. 11-3-2

კელარის Z-სურნელოვანი წყალი იყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან. ეს სურნელოვანი წყალი მზადდება უკანასკნელ განვითარებულ საპარფიუმერო ხელოვნების დავარად. თუმცა კელარის Z-სურნელოვანი წყალი მეტად ფაქიზი რამ არის, მაგრამ დიდად სურნელოვანია და სასიამოვნო სუნის უძლიერდება ცოცხალ ხმარების დროს და ამასთანავე ასეთს სუნს არა ჰკარგავს-რამდენისამე დღის განმავლობაში. (3-6-1)

დაბიჭვად და ისეილება ყველა ქართულ წიგნის ძალაშიებით ქართლის ცხოვრება წიგნი მეორე, ტომი პირველი გამოცემა ზ. ჭავჭავაძის ფასი ერთი მანათი. (3-7-4)

Table with 4 columns: მატარ. № 1, მატარ. № 2, მატარ. № 3, მატარ. № 4. Rows include: ზემთავესი სადგურები, ბათუმი, სამტრედიო, ვერიალა, ხაშური, გორი, ტფილისი, აქსაქაფა, განჯა, ყუბანა, აჭაქაბული, გაქა.

ფუნდინა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთა დამქანა ჭინძხაგს, უსა... დღის 5 საათსა და 05 წუთს. და ფოთში შელის დღის 7 საათსა და 42 წუთს. მეორე-სამტრედიო-ლიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წუთს. და ფოთში შელის საღამოს 10 ს. 08 წუთს. პირველი-ფოთი-დან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წუთს. და სამტრედიოში შელის საღ. 11 ს. 30 წუთს. მეორე ფოთი-დან გამოდის დღის 6 ს. 27 წუთს. სამტრედიოში შელის დღის 8 ს. 55 წუთს. სამტრედიო-დან რიონს შორის: სამტრედიო-დან გადის დღის 9 ს. 10 წუთს. რიონში ჩადის დღის 10 ს. 02 წუთს. და ესევე მატარებელი რიონი-დან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წუთს. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წუთს. რიონი-დან ქუთაისს გადის მატარებელი დღის 5 ს. 30 წუთს. ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წუთს. ქუთაისი-დან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წუთს. რიონში ჩადის 5 ს. 45 წუთს. შორაპან-რიონი. შორაპანი-დან გადის დღის 7 ს., რიონში ჩადის დღის 8 ს. 11 წუთს. რიონი-დან გადის დღის 2 ს. 53 წუთს. შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წუთს. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მკვარით სხვა მატარებელში გადასდობა არა სჭირდება. რკინის გზის სასაგარეო მატარებლების მიმოსვლა. ტფილისსა და გორს შორის: ტფილისი-დან გადის დღის 10 ს. 15 წუთს. გორში ჩადის ნაშუადღევს 12 ს. 48 წუთს. გორი-დან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წუთს. ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისი-დან გადის ნაშუადღევს 2 ს. 30 წუთს. გორში ჩადის 4 ს. 53 წუთს. ხაშურში-საღამოს 6 ს. 29 წუთს. ბორჯომში-7 ს. 50 წუთს. ბორჯომი-დან გამოდის დღის 1 ს. 44 წუთს. ხაშურში ჩამოდის დღის 2 ს. 54 წუთს. გორში-დამის 4 ს. 33 წუთს. და ტფილისში-დღის 7 ს. 33 წუთს. ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისი-დან ორი მატარებელი გადის-ერთი-დღის 8 ს. 20 წუთს. და მცხეთაში ჩადის დღის 9 ს. 16 წუთს. მეორე-ტფილისი-დან გადის ნაშუადღევს 5 ს. 20 წუთს. მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისსაკენ: პირველი მცხეთი-დან გამოდის დღის 10 ს. 8 წუთს. და ტფილისში ჩამოდის-10 ს. 52 წუთს. მეორე-მცხეთი-დან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წუთს. ტფილისში ჩამოდის-7 ს. 23 წუთს. ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმი-დან სამი მატარებელი გადის: ერთი-დღის 7 ს. 15 წუთს. და ქობულეთში ჩადის-დღის 8 ს. 15 წუთს. მეორე-ნაშუადღევს 2 ს. 15 წუთს. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წუთს. მესამე-ნაშუადღევს 5 ს. 15 წუთს. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წუთს; ობულეთი-დანაც სამი მატარებელი მოდის. ბათუმს: პირველი-დღის 11 ს. 15 წუთს. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევს 12 ს. 12 წუთს. მეორე-ნაშუადღევს 3 ს. 30 წუთს. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წუთს. მესამე-საღამოს 6 ს. 45 წუთს. და ბათუმში ჩადის საღამოს 7 ს. 40 წუთს.